ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 5 3

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქალაქი ბათუმი 25 მარტი 2022 წელი

ერთი მხრივ, **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ჯემალ სურმანიძის სახით და მეორე მხრივ, **ააიპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია ,,გრენა”** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის რამაზ ქვათაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 განკარგულების საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ვებგვერდზე (domain.grena.ge) რეგისტრანტის უფლებამოსილი წარმომამდგენლის მიერ შევსებული განაცხადით მოთხოვნილი ინტერნეტდომენური სახელის **moecs.ge** რეგისტრანტისათვის წინამდებარე ხელშეკრულების, "GE დომენის დროებით სარგებლობაში გადაცემა". (CPV– 72417000).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს უწყვეტად 2023 წლის 25 მარტის ჩათვლით.
3.2. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხოდ განხორციელებული მომსახურების მიღებაზე.
3.3. მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი, ლ. გუდიაშვილის ქ. N4.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში ხელშეკრულების დადებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
4.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორების დოკუმენტზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

5. გარანტია

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
6.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი თეონა დუმბაძე.

6.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.
7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
8.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.
8.4. 8.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
8.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
11.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
11.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
11.5. ხელშეკრულება ხელმოწერილია, შტამპდასმულია ელექტრონული ფორმით.

12. ხელშეკრულებს მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13 . მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
აჭარის არ განათლების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველო, ქალაქი ბათუმი
ლ. გუდიაშვილის ქუჩა N4
ს/კ 245427667

მიმწოდებელი:
ააიპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო
კომპიუტერული ქსელების ასოციაცია ,,გრენა''
საქართველო, ქალაქი თბილისი
უნივერსიტეტის ქ. N9
ს/კ 204931654
ს.ს. „თიბისი ბანკი"
მფო: TBCBGE22
ა/ა GE76 TB71 6463 6080 1000 02

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
ჯემალ სურმანიძე

Jemal Surmanidze 61005001449
Digitally signed by Jemal Surmanidze
Date: 2022.03.25 16:25:43

აღმასრულებელი დირექტორი
რამაზ ქვათაძე

Georgian Research and Educational Networking Association-GRENA
Digitally signed by Georgian Research and Educational Networking Association-GRENA
Date: 2022.03.25 16:50:17 +04'00'